პარასკევი, 9 მარტი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 52

„აზვთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით მასწუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ბირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

## ტფილისი, 9 მარტი.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია დაჩრილი ლომივით მიიბრძოდა სტოლიპინზე იერიშის მისატანად. ვერაფერმა ვერ გასჭრა, ვერც სიტყვამ, ვერც თხოვნამ, ვერც მუდარამ. სოციალ-დემოკრატებს მთელის თავის არსებით სწყუროდათ სტოლიპინთან საპარლამენტო ტურნირი გაემართად და გამართეს კიდეც. გაშმაგებულნი და გულმოსულნი ელოდნენ ისინი სტოლიპინის დეკლარაციას, რათა მეხივით დასტეხოდნენ მას თავზე და ისე მაგრა დაენარცხებინათ, რომ ერთი მთელი ძვალი აღარ დარჩენოდა. ეფექტის გასაძლიერებლად ფრაქციის გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რას იზამდნენ და რას იტყოდნენ ს.-დემოკრატები დეკლარაციის საპასუხოდ, საიდუმლოებად იყო გამოცხადებული.

ფარდა საიდუმლოებას ექვს მარტს აეხადა, როცა სტოლიპინს სოციალ-დემოკრატების ლიდერი წერეთელი დაეტაკა. ფალავანი დინჯად და თამამად გავიდა არენაზე, სრულიად დარწმუნებული, რომ თავის მოწინააღმდეგეს თვალის დახამხამებაზე ლუკმა-ლუკმა აქცევდა. მაგრამ საპარლამენტო ტურნირის საერთო სურათმა ერთხელ კიდევ დაანახვა ქვეყანას, რომ მინისტრების გასალახავად სამიტინგო მომზადება და საგიტაციო ორატორობა სრულიად საკმარისი არ არის.

კაბინეთის თავმჯდომარემ სტოლიპინმა ურცხვად და უშიშრად განაცხადა, რომ საკანონმდებლო დაწესებულებას კი არ დაემორჩილება მმართველობა, პირიქით მმართველობა თითონ დაიმორჩილებს საკანონმდებლო დაწესებულებასო. ეს ტლანქი განცხადება, რომელიც ძირიანფესვიანად ეწინააღმდეგება, უფრო მეტს ვიტყვით, პირდაპირ ყირამალა აყენებს უფლებრივ წესწყობილების ცნებასაც და რუსეთის ძირითად კანონებსაც, რა თქმა უნდა, ფართო გზას აძლევდა ოპოზიციას იმის მთქმელისთვის თავზე კაკალი დაემტვრია. ამ ნიადაგზე ოპოზიციას შეეძლო მართლა გამოეშკარავებინა სტოლიპინის მიდრეკილება რეაქციონურ რესტავრაციისკენ და მთელი ქვეყნისთვის დაენახვებინა ის რეაქციონური ატმოსფერა, რომელიც თავის განსაკუთრებითს დაღს ასვავს სტოლიპინის სამინისტროს მოქმედებასაც და იმის კანონ პროექტებსაც.

სოციალ-დემოკრატების ფალავანმა ვერც კი დაინახა ის იარაღი, რომელსაც სტოლიპინის დეკლარაცია თითონვე იძლეოდა; ამიტომ იმის მაგიერ, რომ თავიდანვე მარჯვედ ჩაეჭიდა მოწინააღმდეგისთვის მკლავი და შემდეგ სხარტულად წამოეღო კისერზე, სოციალ-დემოკრატების ლიდერმა თავისი ფალავანობა სამიტინგო ქამანდებზე დაახურდავა და კაბინეთის თავმჯდომარეს თავის პოზიციის დაცვა გაუადვილა. „მმართველობა გვეუბნება, რას გააკეთებს, ჩვენ ვიტყვით, რა გააკეთაო“, დაიწყო სოციალ-დემოკრატების ლიდერმა და ამით საკუთარის სურვილით გაანება თავი იმ პოზიციას, რომელიც მას, როგორც ხალხის თავისუფლებისთვის მებრძოლს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე არ უნდა მიეტოვებინა. რაც მთავრობამ გააკეთა—ის უკვე აღშფოთების გრძნობას და პროტესტებს იწვევს; ეს გრძნობათა აღტყინებისთვის გამოსაყენებელი მასალაა, მაგრამ ის კი, რის გაკეთებასაც მთავრობა აპირობს, როგორც იმის დეკლარაციიდან სჩანს, ეს ხალხის თავისუფლებისთვის ახალს ბორკილებს და ახალს მუხრუჭებს იგულისხმებს. სოციალ-დემოკრატების ლიდერმა თითქოს მოიწონა დეკლარაცია, როგორც პროგრამა მომავალის მოქმედებისა, მაინცა და მაინც იმის წინააღმდეგ არაფერი არ გააჩნია სათქმელად და მთელ თავის გულის-ყურს წარსულს ანდომებს. წარსული მას ღრმა უნდობლობას უკარნახებს სტოლიპინის სამინისტროსადმი და ამ უნდობლობით გატაცებული ოცნებობს იმ სანეტარო დროზე, როდესაც ხალხი შეერთებულის ძალღონით მოსტეხავს ქედს რეაქციონურ მმართველობას.

სტოლიპინს, როგორც თითონ განაცხადა, აზრად არა ჰქონია პასუხი გაეცა ოპოზიციისთვის, მაგრამ სოციალ-დემოკრატების ფალავანებმა იმდენი სისუსტე გამოიჩინეს, რომ კაბინეტის თავმჯდომარემ თავი ვეღარ შეიკავა და მსუბუქი გამარჯვების ჩაგემრიელება გადასწყვიტა. თქვენი ნალაპარაკევის საერთო აზრი ორი სიტყვით გამოიხატება, „ხელი მაღლაო“, გესლიანი ირონიით დაასკვნა სტოლიპინმა, მაგრამ მეც ორი სიტყვით გიპასუხებთ: „ვერ შეგვაშინებთო“.

საპარლამენტო ტურნირი სტოლიპინის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ იმან გაიმარჯვა არა სათათბიროზე, არამედ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაზე.

## სათათბირო და საბჭო

(საგენტოს დეპეშები)

**წერეთლის სიტყვა.** შეიძლება ბევრმა გააკვირვა ის გარემოება, რომ სათათბირო სამარისებურ სიჩუმით მიეგება სამხედრო-საველე სასამართლოების პირველ გამოსვლას. მაგრამ ამ სიჩუმეში გამოიხატა მთელი ძალა პროტესტისა. არ იყო ყვირილი, არც ცხარე დემონსტრაციები ხალხის გრძნობის გამოსათქმელად მთავრობის მიმართ, იმ მთავრობისა, რომელიც ჰფლანგავს დამშეულთათვის დანიშნულ ხალხის გროშებს. მთავრობის პირით გველაპარაკება ძველი ბატონყმური რუსეთი. მთავრობამ ილაპარაკა იმაზე, თუ რას გააკეთებს; ჩვენ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რა გააკეთა მან—მთავრობამ სათათბიროს გარეკით, ამ გარეკის შემდეგ თავის მოქმედებით და ოფიციოზურ განცხადებებით თვალი აუხვია ბრმებსაც-კი, გვაჩვენა კავშირი თვით-მპყრობელ მთავრობისა ბატონყმობის მოტრფიალე ერთი მუჭა მემამულეებთან, რომელნიც მიწასთან გასწორებულ გლეხთა მილიონებით სცხოვრობენ (მარჯვნივ ხმაურობა, მარცხნივ ტაშის ცემა. მარჯვნივ ყვირიან: „გააჩერეთ ორატორი“. თავმჯდომარემ განაცხადა: „ორატორის სიტყვებში ისეთი არაფერია, რის გამოც საჭირო იყოს მისი შეჩერებაო“). მთელი მოქმედება მთავრობისა მიმართულია ბატონ-ყმობის მოტრფიალეთა ინტერესების დასაცველად, საგლეხო ბანკი მემამულეთა ინტერესების დამცველია. მემამულეთ კი სურთ თავიანთი მიწები ორ-კეც ფასებში გაასაღონ (მარჯვნივ: „ტყუილია“). მთავრობამ მოუწოდა მეორე სათათბირო. ფინანსიურ გაკოტრების შიშით და ახლა კი ოფიციოზური პრესსა გაიძახის, რომ თუ სათათბირო არ მიიღებს აგრარულ პროექტებს, ძალით მივაღებინებთო. მთავრობა ისვრის ნამცეც რეფორმებს, რომლებიც არავის არ დააკმაყოფილებს და საზარელის რეპრესიებით აქრობს ყოველგვარ სიცოცხლის ნიშან-წყალს. იგი ერევა კაპიტალისა და შრომის ბრძოლაში, სდევნის ბეჭდვითი სიტყვას, კავშირებს და კრებებს. დღე არ გაივლის, რომ ვინმე სიკვდილით არ დასაჯონ ან ეგზეკუციები არ ჩააყენონ. რათა ქვეყანას შიშის ზარი დასცენ, რუსეთის ორმესამედში სამხედრო წესებია გამოცხადებული. რუსეთი სატრაპიებადაა დაყოფილი, რომელთაც აკლებაში დახელოვნებული მტარვალები განაგებენ (მარჯვნივ: „ტყუილია“). პროვოკატორების ერთის ხელის დაქნევით (მარჯვნივ ყვირიან) ისინი ხვრეტავენ და ახრჩობენ (მარჯვნივ პროტესტია, მარცხნივ და ცენტრში ტაში). თქვენ ყვირით—„სიცრუეეაო“, გიხსენეთ სედლეცის აკლება და ოფიციალური მოხსენება ჟანდარმთა როტმისტრის ჰეტუხოვისა. გიხსენეთ რუსთა კავშირის გმირობანი: გერცენშტეინის მკვლელნი თავისუფლად დასეირნობენ, (პროტესტი მარჯვნივ, სხვები ტაშს უკრავენ. კრუ შევანი ყვირის: „თუ კი აქ პირადობას შეეხებიან, ჩვენ შევძლებთ ზომების მიღებას“. მარჯვნივ ყვირიან: „თქვენ ხელები სისხლში გაქვთ მოსვრილი, გაიხსენეთ გრ. იგნატიევის მოკვლა“.) ჩვენ ვიცით, ვისა აქვს ხელები სისხლში ამოსვრილი. მთავრობამ თავისს ზომებით გაადიდა არეულობა. მთელი ხალხი უკმაყოფილოა. რევოლიუციას ჩენ, ეგრეთ წოდებული „კრამოლნიკები“-კი არა, თვით მთავრობა ახდენს. ხალხის სურვილი არჩევნებში გამოიხატა. ასრულება (?) შეუძლებელია უხალხოდ. უნდა შეერთდეს ხალხი და მაშინ ის შეაჩერებს ძალმომრეობის მომდევართა მხეცურ თარეშობას. ათი თვ ს წინადნაბოკოვმა ტრიბუნიდან სთქვა: აღმსრულებელი უფლება კანონმდებელს დაუქვემდებარდესო. გავიდა ორი თვე და აღმსრულებელმა უფლებამ ხიშტების შემწეობით გარეკა საკანონმდებლო უფლება. სანამ მთავრობის ძალას არ დაუპირდაპირდება ძალა ხალხისა, აღმსრულებელი ძალა ქედს არ მოიხრის და საკანონმდებლო ძალას არ დამორჩილდება (ძლიერი პროტესტი მარჯვნივ. ყვირიან: „ეს შეიარაღებულ აჯანყებისთვის მოწოდებაა).

თავმჯდომარე: გთხოვთ შეიარაღებულ აჯანყებისთვის ნუ იწვევთ.

**წერეთელი:** მე არავის ვიწვევ, პირიქით ვამტკიცებ, რომ შეტაკებას მთავრობა ამზადებს. (მარჯვნივ ყვირიან).

**თავმჯდომარე:** სათათბიროს წევრებს, ვისაც მოსმენა არა სურთ, შეუძლიანთ დარბაზი დასტოვონ.

**წერეთელი.** ჩვენ არავითარი კონსტიტუცია არა გვაქს, გვაქს მხოლოდ მისი აჩრდილი. საჭიროა შეჯგუფდეს ხალხი, რომ აღგავოს თვითმპყრობელი მთავრობა. ეს სათათბირო ადვილად შესაძლებელია ერთის კვირის შემდეგ არც კი არსებობდეს, მაგრამ ხალხის ძლიერი მოძრაობა გაიკაფავს გზას და გადააბიჯებს ყოველ გვარ დაბრკოლებას. ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო! ჩვენ არ გვინდა მივმართოთ მთავრობას და მოვრჩილება მოვთხოვოთ, ჩვენ

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ი ს ა რ ი

გაზეთი ღირს:

| ერთის წლით: | | ნახევარის წლით: | | ერთის თვით: | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში | 6 მ. 50 კ. | ტფილისში | 4 მ. — კ. | ტფილისში | — მ. 75 კ. |
| ტფილისს გარედ | 7 „ — „ | ტფილისს გარედ | 4 „ 50 „ | ტფილისს გარედ | — „ 80 „ |
| საზღვარ-გარედ | 12 „ — „ | საზღვარ-გარედ | 6 „ — „ | საზღვარ-გარედ | 1 „ 50 „ |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება:

ტფილისში: 1. «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ. გ.-კ. საზოგ.» წიგნის მაღაზიაში შოთ ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.). ქუთაისში: ისიდორე კვიცარიძესთან («კოლხიდის» ამხანაგობაში). ბათუმში—ხომერიკთან, პორტში. ფოთში—პლ. ლეონავასთან. თელავში—ივ. პაატაშვილთან. ჭიათურაში: სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის კანკში. ბაქოში: გიორგი ჩხეიძესთან (ჭინჭარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ИСАРИ».

ნამდვილი კახური ღვინე

Товарищество Кахетинскихъ Виноградарей „Дзмоба“ въ Тифлисъ

Телефонъ № 1036.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—33)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და ხსამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბუულაძისა, № 26. (25—5.—25)

თვალის ექიმი
ზ. ვ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ყოფილი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 11—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—22)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ფ. ი. რუდენკო**—შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკევობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და სამშ. 2—3 ს.

**ექ. ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურ. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ა. ფ. როზმანინკი**—საბავშვო, ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.

**ექ. ერმოლაევი.** ბავშ. ყოველ დღე, 12—1 ს.

**ექ. ნ. მ. ანტონოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. კუცევი.** ნერვ. სამშ., ოთხშ. და შ.ბ. 12—1 ს.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, ორშ., ხუთშაბათს გარდა 1—2 ს.

**ექ. გორალევ ჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 12—1.

**ექ. ა. ი. პავლოცკი.** ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე.

**ექ. ნ. ი. ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 ს.

**ვ. ი. ინაევი.** ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ნ. თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ვ. გ. ბოგოვსკი**—შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ა. მონზე**—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ერმოლაევი.** შინაგ. და ბავშ. ყოველდღე 12—1 საათამდე.

**კუცევი.** ნერვ. სამშ., ხუთ., კვირ. 12—1 ს.

**ექ. ზ. ფ. ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. კ. ზ. პივარსკი**
**ექ. გ. ი. ჩუდნოვსკი** | კლინიკური ანალიზი.

**ექ. გ. ი. ოლობკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—61)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 6—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—53)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.— 62)

ლაკტო-ბაცილიანი რძე

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

ა. ს. კლეგანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ტელეფონი № 389. (100—51—89)

უკანასკნელი
ქართული წარმოდგენა
სახალხო თეატრში

ხუთშაბათს, 15 მარტს, 1907 წელს ქართულ დრამატიულ დასის მიერ

ბენეფისი
ი. ყვიჩის სუფლიორის ბ. ბეგლარიძის და ხცენარიუსის ა. ულაბეგიშვილისა.

წარმოდგენილი იქნება

ყაჩაღები

ტრაგედ. 5 მოქ. შილლერისა თარგ. ნ. ავალიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი; ბ-ნნი: შ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, გ. იორდანიშვილი, ვ. ურუშაძე, ა. ყალაბეგიშვილი, კ. ყიფიანი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საჩივრის თავიდან ასაცილებლად, ხელახლა აძლევს წინადადებას ქალაქ ტფილისის სახლის პატრონებს, გამართონ და გადააკეთონ თავიანთ სახლების წინ (1905 წლის სავალდებულო დადგენილებათა და გამგეობის ჩვენების თანახმად) ტროტუარები; დააგძელონ საწვიმრის მილები ტროტუარებამდე (სადაც შესაძლებელია, ტროტუარ ქვეშაც გაიყვანონ); აიღონ ტროტუარებზე ზედმეტი საფეხურები და გადააფარონ სარდაფებში შესავლელები, სადაც ასეთ შესასვლელს ტროტუარისა შვიდ ვერშოკზე მეტი უჭირავს.

ვინც გამგეობის ამ მოთხოვნილებას არ შეასრულებს, იმას ოქმს შეუდგენენ და პასუხის გებაში მისცემენ. (ნ.2—2)

მეჩექმეთა ამხანაგობამ

„ნდობამ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაკმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვი). საგაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოეპოვება ადგილობრივი ნაჭუშავარი, როგორც ძირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რის ივისაც სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შკოლების საჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ აღებულ საქმეს პირნათლად გაუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბულდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა ს. ბერძნიშვილი.

(20—569—5)

მიემართავთ ხალხის წარმომადგენლებს და მოვიწვევთ: შემოიკრებეთ ძალა! ჩვენ ვამბობთ: ხალხთან ერთად საკანონმდებლო უფლება დაიმორჩილებს აღმასრულებელ უფლებას!“

კადეტების ფრაქციამ საკანონმდებლო სამუშაოს განაწილებაზე იქონია მსჯელობა. რადგან მემარცხენენი პირველ ჯერზე ამნისტიას აყენებენ და რადგან ფრაქცია ფიქრობს, რომ საკანონმდებლო წესით შეუძლებელია ამ მიზნის მიხწევა, როგორც წინააღმდეგი ძირითად კანონებისა, დაადგინა—ბეჯითად მოითხოვოს, რომ სახ. საოთბიროსთან ცალკე კომისია დაარსდეს და საკითხი ამნისტიის შესახებ იმას გადაეცეს.

**სათათბიროს სხდომა 7 მარტს.** სხდომა გაიხსნა 11 საათსა და 10 წუთზე გოლოვინის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ გამოაცხადა: 1. შრომის ჯგუფის და გლეხთა კავშირის წინადადება; ისინი თხოულობენ, რომ შესდგეს კომისია 50 წევრთაგან მიწის საკითხის თაობაზე; 2. გლეხთა ზომიერ ჯგუფის წინადადება—შესდგეს კომისია იმავე საკითხის შესახებ და იმ კომისიის წევრები ნახევარზე მეტი გლეხები იყვნენ.

განკარგულების მომხდენ კომისიაში თანახმად „ნაკაზისა“, არჩეულ იქნენ: არაკანცევი, დემიანოვი, შიდლოვსკი, სელინოვი, კოკლიუჩინი, პოპოვი, პერელოშინი, ყარაულოვი, ბაკუნინი, საიკო, როკოტოვი, იკონნიკოვი, კოზლოვი, მალლეევი, სკარჟინსკი, გოლოვინოვი, დოლგოვი, ვორონცოვ-ველიამინოვი, ნიკოლოოზ დოლგოპოლოვი, მუშენკო, პოპოვი, სულთანოვი. თავმჯდომარე პოპოვია, მდივნად—ნიკოლოოზ დოლგოპოლოვი.

სათათბიროს კორესპონდენციის გადამრჩევ კომისიაში აირჩიეს რუსანოვი, პეტროვი, კოზმოდემინსკი, ლეოპასი, ზახაროვი, სლივინსკი, ნენალცევი, შჩიპინი, კარავაევი, პოკროვსკი და ოპოჩინინი.

თავმჯდომარემ გამოაცხადა იმ კანონ-პროექტების სია, რომელიც სამინისტროებმა შემოიტანეს. შეუდგნენ საფინანსო, საბიუჯეტო, სარედაქციო, საალწერო კომისიების არჩევნებს.

სიტყვის ნება მიეცა თავ. დოლგორუკოვს, რომელთაც კომისიის არჩევნების გადადება ითხოვა, რომ პარტიებს შეძლება მიეცეთ მოილაპარაკონ. გარდა ამისა, საჭიროა „ნაკაზის“ შესამუშავებლადაც არჩეულ იქმნას კომისიაო.

სიხადინა: რა წესით აირჩევს სათათბიროა კომისიას? პროპორციონალურის წარმომადგენლობით, თუ ხმის უმეტესობით.

დოლგორუკოვი მხარს უჭერს პრინციპიალურად სხვა და სხვა ჯგუფების წარმომადგენელთაგან არჩეულ კომისიას.

როდიჩევი: სათათბიროა ვერ შესძლებს გადაჭრით დაადგინოს რამე კომისიაში ადგილების განაწილების შესახებ; პარტია დაკანონებული მუდმივი დაწესებული კი აოაა. ჭკეაზე ახლოა, ყველა მიმართულება იყოს თავ-მოყრილი. მე მსურს, რომ უკიდურეს მემარჯვენენიც მოჰხვდნენ კომისიაში. მაგრამ არჩევნები, რომ რიგიანი იყოს, მოლაპარაკებაა საჭირო.

სიხადინა წინადადებას აძლევს სათათბიროს, გადაჭრით სთქვას: სურს თუ არა მას, რომ პროპორციონალური წარმომადგენლობა იყოს.

ბურიშკევიჩი. ჩვენ მემარჯვენენიც პასუხის მგებელნი ვართ ხალხის წინაშე, როგორც მემარცხენენი; ჩვენც საკანონმდებელო მოქმედებაში წილი გვიდევს. სიმართლის სახელით სათათბიროს უნდა აირჩიოს მემარჯვენეთა მიერ დასახელებული კანდიდატები.

კაპუსტინი. შერეულ კომისიის შრომა უფრო ნაყოფიერი იქნება. კომისიის ყველა პარტიიდან შედგენას თხოულობს არა მარტო სამართლიანობა, არამედ თვით სათათბიროს სარგებლობაც. ვერ დავეთანხმები ბურიშკევიჩს, რომ სათათბიროს უნდა აირჩიოს ვისაც მემარჯვენენი დასახელებენ. არა, სათათბირო აირჩევს იმას, ვინც სურს. ვუერთდები დოლგორუკოვის აზრს.

თავმჯდომარემ კაზმანის, კუზმინ კარავაევის და ფაკეევის სიტყვის შემდეგ კენჭი უყარა შემდეგ წინადადებას: ახლა ავირჩიოთ კომისიები, თუ არჩევნები გადავდოთ? ერთხმად დაადგინეს: გადასდონ და ზემოხსენებულ კომისიების შემდეგ აირჩიონ.

ადექსინსკი: ვერ მივხვდარვარ, რა არის გაუგებარი იმ წინადადებაში, რომ დაარსდეს დამშეულთა დამხმარე კომისია. კადეტებს რატომ ვერ წარმოუდგენიათ, თუ რა არის კომისიის კომპეტენცია? საჭიროა გამოკვლეულ იქმნას, თუ რა ზომამდი დამშეულია ხალხი. ცნობაში უნდა იქმნას მოყვანილი მთავრობისა და კერძო ორგანიზაციების მოქმედება შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლაში და შესდგეს კომისია უადგილოდ დარჩენილთა მდგომარეობის გამოსარკვევად.

დახმარების ორგანიზაციის საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ჩაეწერა 30 ორატორი.

ბუდატი შეუერთდა ალექსინსკის. თუ სათათბირო ხელს მოჰკიდებს დამშეულთა დახმარების საქმეს ადგილობრივ და დაარსებს ორგანიზაციას, ადმინისტრაცია წინააღმდეგობას ვერ გაუწევს სათათბიროს მიერ გაგზავნილ პირებს.

კაკდიუჩინმა ასწერა შიმშილობა დონის ოლქში და ბეჯითად მოითხოვა კომისიის დაარსება. გამოკვების საქმე ხალხის ძალებს უნდა გადაეცესო.

ფედოროვი. კომისიამ უნდა განიხილოს ძირითადი მიზეზები შიმშილობისა. შეუძლებელია, რომ სახელმწიფო, რომელსაც ქვეყნიერებ-ს ბეღელს ეძახიან, პერიოდულად შიმშილს განიცდიდეს. ჩინეთსა და ინდოეთში, სადაც შიმშილის ბუდეა, იღებენ ნახევარ ზომებს, პურს არიგებენ და საზოგადო სამუშაოს აჩენენ. საჭიროა, არა თუ უბედურების წინააღმდეგ ბრძოლა, საჭიროა საკითხის რადიკალურად და მეცნიერულად დაყენება (ტაში ცენტრსა და მარცხნივ.)

ჰეტროვსკი. ზოგიერთ ადგილების შიმშილი არც კი მეღავნდება. ამიტომ აუცილებლად საჭიროა კომისია შიმშილის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჟიგიდეევი. აქ ლაპარაკობენ ბიბლიოთეკის კომისიის თაობაზე. განა წიგნებზე საუბრის დროა მაშინ, როცა გურკოები დამშეულ გლეხთათვის დანიშნულ მილიონებს ჰფლანგავენ, როცა ადმინისტრაცია ციმბირში ჰგზავნის იმათ, ვინც თავგანწირვით დახმარებას უწევ ხალხს?

ბულგაკოვი წინადადებას იძლევა, გარკვეული ფორმულა გაუკეთონ კომისიის კომპენტენციას. 1 საათზე და 5 წუთზე სხდომა შესწყდა.

სხდომა განახლდა 2 საათსა და 32 წუთზე. დამშეულთა კომისიის საკითხის გამო ჩაეწერა 26 კაცი. მიიღეს წინადადება, რომ მეტი არ ჩასწერონ.

ხასანოვმა (უფის გუბ.) ამოიღო ტალახი და ყველას უჩვენა: „თქვენ გგონიათ, რომ ეს ტალახია, სრულებითაც არა, ეს პურია, რომლითაც იკვებებიან ბაშკირები. ოფიციალურის ცნობით, ჩვენში შიმშილი არც-კია. საჭიროა, გამოკვების საქმე ჩამოერთვას გურკო ლიდვალებს და გარდაეცეს საერობო ორგანიზაციას (ტაში ყველა სკამებზე, მემარჯვენეებზედაც).

ბოგროვსკიმ ს.-რევოლიუციონერების სახელით შეიტანა რეზოლიუციის ფორმულა იმის შესახებ, რომ შიმშილობისა და უმუშევრობის საკითხის შესახებ არჩეულ იქმნას კომისია 33 წევრისაგან.

ებრამოვი ამტკიცებდა გამოკვების საქმის სათათბიროს ხელში გადაცემის უკანონობას. ეს ნიშნავს იმასაო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაცვლად სათათბიროს ორგანო გავიჩინოთ. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, ჩვენ ძალა არ შეგვწევს, სისრულეში მოვიყვანოთ ეს. ეს იქნება არა პოლიტიკურ უძლურების, გონებრივ უძლურების დამამტკიცებელიც (ტაში ცენტრში). ჩვენ უნდა შემოვიკრიბოთ ძალა სხვა საქმისათვის; სათათბიროს უფლება აქვს კონტროლის გაწევისა. თუნდა ისეთი რამ დივიწყოთ, რაც შესაძლებელია კანონის შიგნით, სახელდობრ: წინადადება შემომაქვს ავირჩიოთ 33 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს მთავრობის მოქმედება გამოსაკვებ კომპანიაში. (ტაში მარჯვნივ და ცენტრში).

სადათელიანტმა მოითხოვა, რომ კომისიაში ამიერ-კავკასიის წარმომადგენელიც გაურიონ, რადგან იქაც შიმშილობა მძვინვარებს.

კლიუჩევი. მე სამარის გუბერნიიდან ვარ, სადაც საუკეთესო შავი მიწაა. მიუხედავად ამისა, ეს კუთხე დამშეულია. დამშეულია ისიც, ვისაც 60 დესეტინა მიწა აქვს. ხალხის სიბრიყვე—აი უდრმესი მიზეზი შიმშილისა. საჭიროა, დაიქცეს კართაგენი, ე. ი. სიბნელე ხალხისა.

კიზეზეტერი. გლეხთა მდგომარეობა სამწუხაროა, მაგრამ მჭერ-მეტყველობით ბლეხი ვერ გაძღება. კამათი გართულდა, რადგან კრებას განსაზღვრული ფორმულა წარმოუდგენეს. თუ სათათბიროს სურს, დააარსოს კომისია სპეციალურ საკითხის გამოსარკვევად, ეს იმას ოდი ნიშნავს, ვითომ უნდოდეთ საკითხი ჩაილულის წყალს გაატანონ. რადგან საკითხი პრაქტიკულად მნიშვნელოვანია და რომ ჩქარაც გადაწყდეს, საჭიროა მივიღოთ როდიჩევის წინადადება. აქა სთქვეს: როდიჩევმა მშვენივრად დაამტკიცა სათათბიროს უძლურებაო. არა, იმან მოქალაქობრივის სიმამაცით გამოსთქვა სიმართლე და გაგვაფრთხილა ყოველ გვარ ილლიუზებისაგან. ეს იმასა ნიშნავს, რომ არ ვიბაქი-ბუქოთ უძლურებით, არამედ გამოვიჩინოთ რეალური ძალა. როდიჩევის წინადადებით, უნდა დავაარსოთ ორგანიზაცია ბიუროკრატიის მოქმედების საკანტროლოდ. სათათბიროს, თქმა არ უნდა, უფლება აქვს პასუხის გება მოსთხოვოს მთავრობის წარმომადგენლებს. სათათბირო განახორციელებს თავისს უფლებას კანონიერ ნიადაგზე. ამას თითონ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემაც ანგარიში უნდა გაუწიოს. ჩვენ გადავშლით საბუთებს და ვაჩვენებთ ყველას, რაც ჩაიდინა ბიუროკრატიამ გამოკვების საქმეში. ვოტუში კომისიის არჩევის შესახებ ბიუროკრატიის უკანტროლობას ბოლოს მოუღებს. თუ დავინახავთ, რომ ბიუროკრატია ემზადება ხელიდან გამოგვტაცოს საშუალება, რომელიც დამშეულებისათვის არის დანიშნული, თუ იმან მოინდომა, მოიტაცოს ის ლუკმა, რომელიც დამშეულს უნდა მიეწოდოს, მაშინ ჩვენ კი არ დავიყვირეთ — „ხელები ზევითაო“, რისაც ასე ეშინიან ბიუროკრატიას; მაშინ ჩვენ დავიყვირებთ—„შორს ხელები“-ო (ძლიერი ტაში მარცხნივ და ცენტრში)

ზინანი ამტკიცებდა კომისიის დაარსების საჭიროებას. ამბობენ ხალხის განათლებაზეო, მაგრამ ახლა განა განათლებაზე ლაპარაკი შეიძლება? სანამ მშიერს გაანათლებენ, იგი უკვე მოკვდება. გვიანია საშველ ნავის შენება, როცა კაცი წყალში იძირება.

ბერედეშინი (საერობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ვორონეჟიდან). დამშეულებს პურის მაგივრად წვრილს აძლევენ. პურში 23% ნაგავია. გამოკვების საქმე უნდა ჩამოერთვას ბიუროკრატიას. საბიუჯეტო კომისიაში თავის დროზე მოგახსენებთ ვორონეჟელ გურკო-ლიდვალებზე.

სიტყვის ნება პურიშკევიჩს მისცეს. იმან უარი განაცხადა. მემარცხენეებმა ტაში დაუკრეს. მაშინ პურიშკევიჩი ფიცხლავ წამოხტა. „თუ ასეა, ვილაპარაკებო.“ (საერთო სიცილი).

ბურიშკევიჩი. ამ საკითხზე ბევრი ლამაზი სიტყვა დახარჯეს. ნუ თუ მხოლოდ ალტრუისტული გრძნობა ალაპარაკებს დეპუტატებს? არა, სოციალისტები შიმშილში საagიტაციო საბაბს ჰხედავენ. მე ვიცი სტოკჰოლმსა და სხვა ქალაქებში სოციალისტების მიერ მიღებული რეზოლიუციები (სიცილი მარცხნივ და ცენტრში). ჩვენ არა გვსურს, რომ სათათბირო იყოს მთავარი შტაბი რევოლიუციისა. ნებას არ მივცემთ, რომ კომისია რევოლიუციის ფილიალურ განყოფილებად გადაიქცეს. ჩვენ გვინდა საქმიანი კომისია, დეე კომისიამ აღმოაჩინოს ბოროტ-მოქმედება, ეს მისი საქმეა. მე სრულებით ვეთანხმები ამხანაგ როდიჩევს. (სიცილი მარცხნივ, ცენტრიდან ხმები: „როდიჩევი ამხანაგი“).

**როდიჩევმა** ითხოვა სიტყვა პირად ასახსნელად.

**თავმჯდომარე:** სიტყვა მოგეცემათ ყველა ორატორის შემდეგ.

**კრუშევანი.** შიმშილობა ყოველთვის მაწუხებდა მე, მწერალს, რომელიც 25 წლის განმავლობაში კალმით ვემსახურე სამშობლოს. თქვენ იცით ჩემი მოღვაწეობა? (მარცხნივ: „ვიცით, ვიცით“). თქვენ იცით გაზეთებიდან ამონაკითხი, რომელსაც მე ანგარიშს ვუწევ. (მარცხნივ და ცენტრში სიცილი). ნუ მაიძულებთ, წინააღმდეგობა გავუწიო სიცრუეს, რომელსაც მისევს მე ებრაელების პრესა, მე, მოღვაწეს, რომლის წინაშე თქვენ უნდა ფეხზე იდგეთ (დიდი სიცილი მარცხნივ და ცენტრში). 25 წლის განმავლობაში უანგაროდ ვცემდი გაზეთს, რომელიც არავითარ შემოსავალს არ მაძლევდა და ამ ხანაში ნახევარი მილიონი ფული შევკრიბე დამშეულთათვის სასარგებლოდ. თქვენ კი დამშეულებზე მხოლოდ ტიკტიკებთ.

**კუზმინ კარავაევი.** ეგ თავის ქებაა (მოძრაობა და ხმაურობაა. თავმჯდომარემ შეაჩერა ორატორი).

**კრუშევანი.** 10 წლის წინად შიმშილობა იყო. პროგრესიული პრესსა მხოლოდ მასლაათობდა. ახლა ჩვენ გვესმის მთელი რიგი სიტყვებისა—ავირჩიოთ ერთი კომისია, ავირჩიოთ მეორეო. მოგახსენებთ ცოცხალ, პრაქტიკულ საქმეს, ავირჩიოთ კომისია, გავგზავნოთ მინისტრთან და დამშეულთათვის დახმარება ეთხოვოთ. მერე დაუყოვნებლივ ადგილობრივ კაცები გავგზავნოთ და დამშეულთ დახმარება აღმოუჩინოთ. თუ თხოვნა ზრდილობიანი იქნა, მინისტრები უარს არ გვეტყვიან (მარცხნივ სიცილია).

**ლომთათიძე.** აქ სთქვეს: მემარცხენეები რუსეთის რევოლიუციის შტაბს ადგენენ და დამშეულთათვის გადადებული ფული აგიტაციისათვის გინდათო. ეს ტყუილია. კრუშევანი წინადადებას გვაძლევს, ადგილობრივ წავიდეთ და პური დავარიგოთ. ეს უსინდისო დემაგოგიაა! (თავმჯდომარე აჩერებს ორატორს). ამიერ-კავკასია დამშეულია. რისთვის? იმისთვის, რომ ჩვენ კონსტიტუციონურ სამინისტროს მუდმივმა ეგზეკუციამ გლეხებს სიმინდი სულ დაუწვა. კომისიის უკანონობასა და რევოლიუციონობაზე ლაპარაკიც მეტია (მარცხნივ სოციალია. ლომთათიძე ძლიერის სომხურის (?) კილოიანათ ლაპარაკობს. ტრიბუნასთან ერთი მემარჯვენე გლეხი დეპუტატი მივიდა და თავმჯდომარეს უთხრა: „ჩვენ არ გვესმის ლომთათიძის ლაპარაკი და, გადაგვითარგმნეთო“).

**თავმჯდომარე.** თავი გაანებეთ, ორატორი რუსულად ნათლად ლაპარაკობს (წინა სკამებზე მოძრაობაა).

**სემენოვი.** თავიანთ თავს მემარჯვენეებს ეძახიან ისინი, ვისაც 100 ათასი დღიური მიწა აქვს. მიზეზი შიმშილისა მიწის სიმცირე და მთავრობის მიერ ტყავის გაძრობაა. ამიტომაც გვაჯობეს ჩვენ იაპონელებმა. დეე, განაგონ ქვეყანა მეფემ და ხალხმა.

**ადექსინსკი.** ზოგიერთი ვულუბრყვილოები ჩვენის გლეხისაგან თხოულობს, განათლდეო. ს.-დემოკრატებმა იციან, რომ სათათბიროს დადგენილება ცალიერი ხმაა მთავრობისათვის, მაგრამ ესევე როდია ხალხისათვის. საკვირველი არაა, პურიშკევიჩმა რომ როდიჩევს ამხანაგი უწოდა. თუმცა როდიჩევი რუსთა კავშირის წევრი არაა, მაგრამ სიტყვა იმათ სასარგებლოდ სთქვა. ს.-დემოკრატებს სწამთ, რომ გაიმარჯვებს ის რეჟიმი, სადაც ყველანი ძმები იქნებიან (მარჯვნივ იძახიან: „საიქიოსაო“.) არა აქ, დედამიწაზედ. შეიძლება ბევრი ჩვენთაგანი მაშინ ცოცხალი არ აყოს, მაგრამ ჩვენი შვილები და შვილისშვილები იხილავენ იმ დღეს.

შემდეგ ორატორმა წაიკითხა ფრაქციის წინადადება: დაარსდეს გამოსაკვები კომისია, მოეთხოვოს მთავრობას ანგარიში. ადგილობრივ დახმარება გაუწიონ და გამოიკვლიონ დამშეულთა მდგომარეობა.

როდიჩევმა წინადადება შეიტანა აღნიშნონ უწყებებზე წინადადება, დაბეჭდონ და დაურიგონ ყველას შემდეგ სხდომაზე. ჟიულიევი წინააღმდეგი იყო ამისა. კუზმინ-კარავაევმა მხარი დაუჭირა როდიჩევს.

**ბურიშკევიჩი.** არ შემიძლიან მოვითმინო ს.-რევოლიუციონერების არსებობა საკანონმდებლო დაწესებულებაში. ს.-რევოლიუციონერობა კანონის მე-129 მუხლის ძალით აკრძალულია და სათათბიროში კი ისინი თავისუფლად მოქმედებენ. (პროტესტი).

**კაპუსტინი** და **კრუშენსკი.** როდიჩევს შეურთდნენ. სალტიკოვი წინააღმდეგი იყო. იგი ითხოვდა დაუყონებლად კომისიის არჩევას. არხანგელსკიმ აღნიშნა, რომ მემარცხენეები უფრო ზრდილობიანად ეპყრობიან მემარჯვენეებს, ვიდრე მემარჯვენეები მემარცხენეებს. სტრუვემ დაიცვა როდიჩევი და ითხოვა რამდენისამე დღით გადაიდოს კომისიის არჩევანი, რადგან იბადება საკითხი სათათბიროს კომპეტენციის თაობაზე. კიზეტერის აზრით, სათათბიროს უნდა იცნას კომისიის საჭიროება, მხოლოდ არჩევანი რამდენისამე დღით გადაიდოს.

ალექსინსკიმ პასუხი გასცა სტრუვეს და აღნიშნა, რომ სათათბიროს ხელის მომწერ დაწესებულებად არ უნდა გადაიქცესო. როდიჩევმა სთქვა, კარგი არაა შევქმნათ არჩევნები ბრალდებული და საკითხი ერთ წუთს გადაეწვიტოთ.

**თავმჯდომარე** როდიჩევის წინადადებას—დამშეულთა კომისიის არჩევანის გადადებას, კენჭი უყარა. დაადგინეს: კომისიაზე მსჯელობა იქონიონ შემდეგ სხდომაზე. კრება დახურა 5 საათსა და 45 წუთზე. შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდება.

---

**სახელმწიფო საბჭო.** 6 მარტს სახ. საბჭომ მოისმინა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეკლარაცია და „ვაშა ვაშა“-ს ძახილით მიეგება. მორიგ საქმეებში გადასასვლელად სახ. საბჭომ ხმის უმეტესობით მიიღო ცენტრის შემდეგი ფორმულა: სახ. საბჭომ, მოისმინა-რა მთავრობის აზრი, მზადაა ხელი შეუწყოს იმ კანონ-პროექტების და ზომების ცხოვრებაში გატარებას, რომელიც მიმართული იქნება ხალხის საკეთილდღეოდ და რომელიც ხელს შეუწყობს წეს-რიგის და კანონიერების დამყარებას. იღებს რა ამას ხელეველობაში, სახ. საბჭო გადადის მორიგ საქმეებზე“.

**სამინისტროს დეკლარაცია.** (დასასრული). „ამ საზოგადო ხასიათის კანონ-პროექტების გარდა, მთავრობამ შეიმუშავა მთელი წყება კანონ-პროექტებისა, რომელთაც აზრადა აქვთ ახალ საფუძველზე დაამყარონ ადგილობრივი ცხოვრება. ეს ცხოვრება განისაზღვრება საერობო და საქალაქო თვითმართველობით, ადმინისტრაციით (გამგებლობით) და საპოლიციო ღონისძიებებით; ამიტომაც სამინისტროს პროექტებიც ჩვენ კანონმდებლობის ამ მხარეებს ეხება. როგორც გუბერნიაში, ისე მაზრაშიაც საადმინისტრაციო, საპოლიციო და საერობო მოქმედება მიმდინარეობს სამ პარალელ კალაპოტში, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებით მცხოვრებთ, მით უფრო მარტივია ცხოვრება და მით უფრო აუცილებელი შეჩერება ისეთ ერთეულზე, სადაც ხალხს უნდა შეეძლოს თავის უმარტივეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. სამინისტროს პროექტით ასეთი დაწესებულება იქნება უწოდებრივი თვით-მართველი „ვოლოსტი“, როგორც მცირე საერობო ერთეული; მისი საპოლიციო მოვალეობა იქნება უმარტივესი მოვალეობა ადგილობრივ საზოგადოებრივ პოლიციისა, ადმინისტრაციული კი უნდა შეეხებოდეს სამხედრო ბეგარას, საოჯახო სიების შედგენას, ზოგ გადასახადებს და სხვას. ვოლოსტის უწყებაში უნდა იყოს ყველა ის მიწა, ქონება და პირი, რომელიც მის სასღვრებში იმყოფება. ვოლოსტი იქნება უმცირესი ადმინისტრატიული და საზოგადოებრივი ერთეული, რომელთანაც ექნებათ საქმე კერძო პირებს; მაგრამ ამასთან ის პირები, რომელნიც თემთან ერთად ჰფლობენ მიწას, ე. ი. უმთავრესად საანდელო მიწების პატრონები, შეადგენენ ცალკე საადგილმამულო საზოგადოებას მხოლოდ თავიანთ საადგილ მამულო საქმეების გადასაწყვეტად; ამ საზოგადოებათ შერჩებათ ზოგი უპირატესობა, სახელდობრ ის, რომ მათის ადგილების გაყიდვა შეუძლებელი იქნება. ამ გვარად, საადგილ-მამულო საზოგადოებებს არავითარი საადმინისტრაციო მოვალეობა არ ექნებათ; მათი დანიშნულება ის იქნება, რომ გაუძღვნენ ყოფილ სანადელო მიწებს: განზრახულია, რომ ეს მიწები რამდენსამე პირს არ ჩაუვარდეს ხელში, აგრეთვე ისიც, რომ უკიდურესად არ დანაწილდეს და შესაფერ აქტების შესრულებას ხელი შეეწყოს. სოფლის უმარტივეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, იმ მოთხოვნილებათა, რომელიც ცხოვრების პირობებიდან გამომდინარეობს, განზრახულია განსაკუთრებულ მმართველობის შემოღება დიდ სოფლებში და იქ, სადაც არა გლეხებიც სცხოვრობენ; ეს პირები მონაწილეობას მიიღებენ როგორც მართვა-გამგეობაში, ისე გადასახადების გაწერაში. ამ საერობო ერთეულის მაღლა მართველობის საქმე რთულდება და ამის შესაფერად სამინისტრო უნდა შესდგომოდა საერობო და საქალაქო თვითმართველობას, საგუბერნიო, სამაზრო და საუბნო და საპოლიციო მართველობის რეფორმას. თვითმართველობის სფერაში სამინისტრო შეეხო უმავრეს მხარეებს — საერობო

და საქალაქო წარმომადგენლობას, მათ კომპეტენციასა და ადმინისტრაციის დამოკიდებულებას თვითმართველობასთან. ამავე დროს სამინისტრო შეუდგა არსებითსა და აუცილებელ შრომას— ერობისა და ადმინისტრაციის მოვალეობათა წესდების ხელ-ახალ შედგენას... რაც შეეხება საერობო წარმომადგენლობას, სამინისტრო ამყარებს მას ცენზზე და აფართოვებს საერობო ცხოვრებაში მონაწილეთა წრეს, მაგრამ ამასთანავე იგი უზრუნველჰყოფს მემამულეთა განათლებულ კლასის მონაწილეობასაც. თვითმართველობის ორგანოების კომპეტენცია უფრო ვრცელი იქნება, რადგან იმის ხელში უნდა გადავიდეს მთელი წყება ახალ მოვალეობისა; რაც შეეხება ადმინისტრაციასთან დამოკიდებულებას, ადმინისტრაციამ თვალ-ყური უნდა უგდოს თვითმართველობის მოქმედების კანონიერებას. ამ პრინციპებზე დამყარებული თვითმართველობა, მცირე ცვლილებებით, თანახმად ადგილობრივ პირობებისა, შემოღებული იქნება ბალტიისა და დასავლეთ მხარეებში და პოლონეთში, მხოლოდ გამოიყოფება ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად ის ადგილები, სადაც სცხოვრობენ წმინდა რუსები, რომელთაც საგანგებო ინტერესები აქვთ. რაც შეეხება ადმინისტრატიულ ორგანოებს, სამინისტროს შემოაქვს კანონ-პროექტი საგუბერნიო და სამაზრო მართველობისა და საუბნო კომისარების შესახებ. ამ გვარად, ყველა საჩივარს ადმინისტრატიულ და არჩეულ თანამდებობის პირთა და დაწესებულებათა შესახებ, პროექტების თანახმად, განიხილავს შეერთებული საადმინისტრაციო-სამსჯავრო კოლეგია, საკამათო პროცესის ფორმის დაცვით. მაზრის მეთაურად იქნება სამაზრო გამგეობის უფროსი, რომელიც შეაერთებს მაზრის სამოქალაქო გამგეობას. მაზრაში ადმინისტრაციის აგენტებად იქნებიან ნაწილების კომისარები; საერობო უფროსების თანამდებობა გაუქმებულია. პოლიცია შეიცვლება იმ სახით, რომ შეერთებულ იქნება ჟანდარმთა და საზოგადო პოლიცია; ჟანდარმის მოხელეებს ჩამოერთმევა პოლიტიკურ საქმეების გამოძიება და სამსჯავროს გამომძიებლებს გადაეცემა. სათათბიროს წარედგინება ახალი საპოლიციო წესდება, რომელმაც უნდა შესცვალოს დაძველებული წესდება ბოროტმოქმედებათა აღკვეცის შესახებ და სისწორით განსაზღვრავს საპოლიციო უფლების მოქმედებას. ადგილობრივ გამგეობის რეფორმასთან მჭიდროდ დაკავშირებულია სასამართლოს რეფორმაც. საერობო უფროსების და სასოფლო სასამართლოების მაგიერ უნდა დაწესდეს ადგილობრივი სასამართლო, ხელმისაწდომი, იაფი, სწრაფი და ხალხთან დაახლოებული. იუსტიციის სამინისტრო წარუდგენს სათათბიროს ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის პროექტს, იმ სახით, რომ სამსჯავრო უფლება ადგილობრივ სასამართლო საქმეთა შესახებ მიენიჭოს ხალხის მიერ თვის შორის არჩეულ მოშრიგებელ მოსამართლეებს; იმათ გადაეცემათ უდიდესი ნაწილი იმ საქმეებისა, რომელთაც ამ ჟამად საზოგადო სამოსამართლო დაწესებულებანი აწარმოებენ, რომელთანაც კავშირი დაცული იქნება ბაზრებში საოლქო სასამართლოების სააპელაციო განყოფილების დაარსებით და სენატის საკასაციო ინსტანციით. შემდეგ, სახელმწიფოში კანონიერების დასაცველად და ხალხში კანონის სიწმინდისა და შეურყეველობის გასამტკიცებლად იუსტიციის სამინისტროს შეაქვს სათათბიროში პროექტი მოსამსახურეთა სამოქალაქო და სისხლის სამართალი პასუხის გების შესახებ, რომელიც ნამდვილად უზრუნველ ჰყოფს მოსამსახურეთა ბოროტ-მოქმედებისათვის სისხლის სამართლითა და ქონებრივად პასუხის გებას და ამასთანავე იცავს* იმათ თანამდებობის მშვიდობიან და მტკიცე ასრულებას და უზრუნველ ჰყოფს უსაფუძვლო ბრალდებისაგან.

„არ შეეჩერდები პროექტზე სასამართლოების მოხელეთა ჯამაგირისა და შტატების გაძლიერების შესახებ და მივაქცევ სახელმწიფო სათათბიროს ყურადღებას კანონ-პროექტებს სისხლის სამართლის უფლებისა და პროცესის ფარგალში, რომლებიც განამტკიცებენ ახალ ზომების მთელ რიგს; ისინი შეურყეველად იცავენ ალექსანდრე II-ის მარტოლო წესდების საფუძველს, ეთანხმებიან ცხოვრების პრაქტიკას ან ბოლო დროს მეცნიერებისა და ევროპის ბევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის მიერ აღიარებულ აზრებს. განზრახულია დაცვის ნებართვა წინასწარ გამოძიების დროს, სამართალში მისაცემად მტკიცების პრინციპის შემოღება, პირობითი განსჯის ინსტიტუტის შემოღება, ვადის შესრულებამდე პირობითი განთავისუფლება და სხვა. ამასთანავე განზრახულია სისრულით შემოღება ახალი სისხლის სამართლის დებულებისა, რომელიც შეთანხმებული იქნება ბოლო დროს გამოცემულ კანონებთან. შეტანილ იქნება აგრეთვე მთელი რიგი კანონ-პროექტებისა სამოქალაქო კანონმდებლობის სფერაში, პროექტი დამცველ სამოსამართლო წარმოებისა და, ბევრ სხვა მეორე ხარისხოვან კანონ-პროექტებთან, სამამულო წესდების პროექტი, რომელიც განამტკიცებს ჩვენში საიპოთეკო სისტემას და საადგილ-მამულო უფლებრივ დამოკიდებულებათა სფერაში ჯეროვან სინათლესა და სიმტკიცეს შეიტანს ამ სფერას მჭიდრო კავშირი აქვს საადგილ-მამულო საკითხთან, რომელიც ეხება მეორე უწყებას — მიწათა განწესრიგების და მიწათ-მოქმედების მთავარ გამგეობას. ხსენებულ უწყების წინაშე დიდად მნიშვნელოვანი საკითხია წამოყენებული. იგი მოწოდებულია, უმთავრესად ხელი შეუწყოს ეკონომიურ აღორძინებას გლეხობისას, რომელიც სტოვებს სახელმწიფოში თავის განცალკევებულ ადგილს და ეკონომიურად სუსტი გამოდის არსებობისათვის ბრძოლის საზოგადო ასპარეზზედ და გლეხებს არ შეუძლიათ თავისი ძველი ხელობით, მიწად-მოქმედებით, სილარიბეს თავი დაახწიონ, ამიტომ მთავარ-გამგეობამ მიზნად დაისახა გლეხების ადგილ-მამულის გაფართოვება და მიწის საკუთრების განწესრიგება.

პირველ-ხარისხოვან ზომათა შორის მთავარ-გამგეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ადგილ-მამულით იმ საზოგადოებათა უზრუნველ-ყოფას, რომელმაც ნადელები მიიღეს, მხოლოდ დღემდის შეძლება არ ჰქონიათ თავისთვის საკმაო მიწა შეეძინათ. შესაფერი კანონ-პროექტი შეტანილ იქნება სათათბიროში. მიწის ვიწროობის მოსასპობად მთავარ-გამგეობა საშვალებად სთვლის შეღავათიან, სამართლიან და მყიდველის შეძლების შესაფერ ფასად ადგილის გაყიდვას. ამ მიზნით მთავრობის განკარგულებაშია 1906 წ. 12 და 27 აგვისტოს ბრძანების ძალით გადაცემული 9 მილიონი დესეტინა ადგილი და 1905 წ. 3 ნოემბრიდან საგლეხო ბანკის მიერ შეძენილი 2 მილიონ დესეტინაზე მეტი. ხოლო სიქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის საგლეხო მამულების გაფართოვება უნდა შეკავშირებულ იქნას მიწით სარგებლობით გაუმჯობესებასთან, რისთვისაც საჭიროა წაქეზების ზომები და უმთავრესად კრედიტი. მთავარ გამგეობას განზრახვა აქვს ვრცლად განავითაროს კრედიტი სამიწად-მოქმედო, მელიორატიული და საახალშენო. რაც შეეხება მიწის განწესრიგებას, ამ საგნის შესახებ შეტანილ იქმნება დებულება, რომელსაც მიზნად აქვს იმ დაბრკოლებათა გაუქმება, რომელთაც კავშირი აქვთ სოფლებისა და ცალკე ოჯახების ნადელების განაწილებასთან; გაადვილებულ იქნება დღევანდელ დაქუცმაცებულ ადგილების წესიერი დაყოფა, ცალკე ოჯახის გამოყოფა, საზღვრების გამიჯვნის საშუალებათა გამარტივება და დაქუცმაცებულ ადგილების ძალდატანებითი დაყოფა იმ პირობით, თუ ეს დაქუცმაცება მავნებლად აღიარებულ იქნა. საადგილ-მამულო საკითხის კეთილად დაგვირგვინება დამოკიდებულია მიწის გამწესრიგებელ ადგილობრივ კომისიების მოღვაწეობასთან; ამ კომისიების რეფორმას საჭიროდ სცნობს მთავარი გამგეობა, რომელმაც შეადგინა პროექტი, მჭიდროდ დააკავშიროს ის კომისიები ხალხთან საარჩევნო პრანციპისა და მუშათა რიცხვის გაძლიერებით, მიწის გაწესრიგების გეგმათა განსახორციელებლათ.

„თუმცა რიცხვით პირველი ადგილი უჭირავს ჩვენში გლეხობას, მთავრობის საჭიროდ მიაჩნია საკანონმდებლო წესით სხვა და სხვა ზომების მიღება მუშათა საკითხის შესახებ. განზრახულ რეფორმას [illegible] მთავრობის მიერ მუშათა კეთილდღეობისათვის ვრცლად ხელის შეწყობა და მათი ცხოვრებაში ნაკლის შევსება. უცქერის რა მუშათა მოძრაობას, როგორც იმათ ბუნებრივ მისწრაფებას თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რეფორმამ უნდა გაუხსნას ამ მოძრაობას ბუნებრივი გასავალი და მოაშოროს ყოველნაირი ზომა იმისი ხელოვნურად წამქეზებელი, აგრეთვე ამ მოძრაობის დამაბრკოლებელი მიზეზები, რამდენადაც იგი არ ემუქრება ბუნებრივ წესწყობილებას და საზოგადო მშვიდობიანობას. ამიტომ მუშათა კანონმდებლობას ორი მიმართულება უნდა მიეცეს: უნდა ხელი შეუწყოთ მუშებს დახმარების აღმოჩენით და შევზღუდოთ ადმინისტრაციის გარევა მეპატრონეთა და მუშათა საქმეში; ორთავეს უნდა მიენიჭოს მოქმედების საჭირო თავისუფლება პროფესიონალურ ორგანიზაციების საშუალებით და ეკონომიურ გაფიცვების დაუსჯელობით. მუშებისათვის შემწეობის აღმოჩენის უმთავრესი საგანია სახელმწიფოს ზრუნვა შრომის უნარ-დაკარგულ მუშებისათვის, დაზღვევა ავადმყოფობის, დასახიჩრების, უძლურობის და სიბერის შემთხვევისათვის: ამასთანავე განზრახულია მუშებისათვის სამკურნალო დახმარების ორგანიზაცია, მუშათა მოზარდი თაობის ცხოვრებისა და განმრთელობის დასაცველათ უნდა გადასინჯულ იქნას წესები მცირე წლოვან მუშათა შესახებ და აეკრძალოს იმათ და მუშა ქალებს ღამე და მიწის ქვეშ მუშაობა. ამასთანავე 1897 წ. ორი ივნისის კანონით დადგენილი მოზრდილ მუშათა სამუშაო დღე უნდა შემცირებულ იქნას.

„ვაჭრობის სამინისტროს განზრახვა აქვს, მუშათა კანონმდებლობის საკითხებთან, წამოაყენოს სათათბიროში საკითხი შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ვაჭრობის დასაცველად დახურვა პორტოფრანკოსი, რომელიც დაწესებულ იქნა ომიანობის გამო უმაღლესის ბრძანებით 1 მაისს 1904 წ. მრავალ პროექტებს შორის, რომლებიც გზათა სამინისტროს სათათბიროში შეაქვს, მივაქცევ ყურადღებას იმ პროექტებზე, რომელთაც მიზნად აქვთ განვითარება და გაუმჯობესობა ჩვენი გზებისა; ჩვენი რკინის გზების სიგრძემ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში 35300 ვერსიდან 61725 ვერსამდის იმატა.

„გასაყვანად განზრახულ ახალ გზებს შორის ვალად ვრაცხ აღვნიშნო ამურის გზა, რომელიც იმიერ ბაიკალის რკინიგზის ერთ-ერთ ბოლო სადგურიდან დაიწყება და ხაბაროვსკამდის გაგრძელდება. ეს გზა ევროპის რუსეთს შეაერთებს შორეულ აღმოსავლეთთან. ამ გზის გაყვანას თხოულობს არსებითი ინტერესი რუსეთისა. გარდა ამისა, სახ. სათათბიროს წარედგინება მთელი რიგი პროექტებისა; ეს პროექტები შეეხება მდინარეებზე ნაოსნობის მოწყობას, გზა-ტკეცილების გაყვანას, ნაოსნობის და ტივებით ტყის მასალის ზიდვის კანონს და სახელმწიფო და საზოგადო საჭიროებისათვის მიწის შესყიდვის საქმეს.

„მთავრობა ნათლადა ჰგრძნობს, რომ ყოველივე ცდა ხალხის ეკონომიურად დაწინაურებისათვის უნაყოფოა, თუ კი სწავლა-განათლება ხალხისა ჯეროვან სიმაღლეზე არ იქნება დაყენებული და თუ თავიდან აცილებული არ იქნება ის არა სასურველი მოვლენანი, რომელნიც აფერხებენ სწავლა-განათლების საქმეს ამ ბოლო წლებში. ეს მოვლენანი ნათლად მოწმობენ, რომ თუ ძირითადი რეფორმები არ იქმნება შემოღებული, ჩვენი სასწავლებლები სრულ გახრწნამდე მივლენ. სასკოლო რეფორმას განათლების ყოველ საფეხურზე საერო განათლების სამინისტრო ამზადებს იმ რიგად, რომ დაბალ, საშუალო და მაღალ სასწავლებლებთან შემაერთებელი კავშირი უნდა სუფევდეს; ამავე დროს თითოეული რიგის სკოლა საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეიძინოს ასე თუ ისე დამთავრებული რამ ცოდნა. საერო განათლების მინისტრის განსაკუთრებით საზრუნავ საგანს შეადგენს მასწავლებლების მომზადება ყველა ხალხის სკოლებში და მატერიალური მათი უზრუნველ ყოფა. გარდა ამისა საერო განათლების სამინისტრო მიზნად იხახავს ახლო მომავლისათვის განახორციელოს: 1). მთავრობის და საზოგადოების ერთ-ერთ დახმარებით სწავლის მიღება გაუადვილოს უმრავლესობას და შემდეგ კი, საველდებულო გახადოს იმპერიის ყველა მცხოვრებთათვის 2). სამინისტრო სცდილობს სხვა და სხვა ტიპის საშუალო სკოლები დაარსოს და პროფესიონალურ სწავლას ჯეროვანი ადგილი დაუთმოს; 3). უმაღლეს სკოლის რეფორმის დროს სამინისტრო ეცდება ამ სკოლის საფუძვლად დასდოს 1905 წელს 28 აგვისტოს გამოქვეყნებული კანონი მაღალ სასწავლებლის რეფორმების შესახებ და შეუფარდოს იგი სახელმწიფო ინტერესებს.

„ყველა ზემოჩამოთვლილი კანონ-პროექტების განხორციელება დამოკიდებულია ფინანსებზე. ამ მხრივ სახ. სათათბიროს და სახ. საბჭოს წინ უქევს პირველ ხარისხოვანი სამუშაო. მათ განსახილველად შეტანილი იქნება სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალთა აღწერილობა, რომელიც შეეხება სახელმწიფოს არსებით საჭიროებას. მთავრობა იწვევს სახ. სათათბიროს, დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ საქმის განხილვას, რადგან საბიუჯეტო საკითხი თხოულობს განსაკუთრებით დიდ ყურადღებას: რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა იმნაირია, რომ საჭიროა ძლიერ ყაირათით ფულის ხარჯვა. ამასთან განზრახულ რეფორმებისათვის ახალი ხარჯია საჭირო. ეხლანდელი ვითარება მით უფრო საძნელოა, რომ იგი ისეთ დროს შეჰხვდა, როცა შემოსავალი ძლიერ მცირეა; ამისი მიზეზით არის 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტით გლეხთა გადასახადის გამოსყიდვის გაუქმება და ომიანობის დროს აღებულ ვალის სარგებლის თავისს დროზე გადახდის აუცილებლობა. საქმე კიდევ რთულდება იმით, რომ სახელმწიფოს საჭიროების ხელოვნურად შეჩერება დიდხანს შეუძლებელია. სახელმწიფოს განვითარებაში, როგორც კერძო კაცის ზრდაში, არის ხოლმე ისეთი ხანა, როცა საჭიროება არა ჩვეულებრივად იზრდება ხოლმე 1905 წლის ოქტომბერს ჩვენის სახელმწიფოს წესწყობილების ძირითადად შეცვლამ გამოიწვია ეს ხანა და ჯერზე დააყენა მთელი რიგი მოთხოვნილებისა სახელმწიფოს ცხოვრების სხვა და სხვა დარგში. დასასრულ, საზარალო ომმა გამოიწვია დიდი ხარჯი ჯარისა და ფლოტის განსაახლებლად. რაც უნდა დიდი სურვილი გვქონდეს მშვიდობიანობისა, რაც უნდა საჭირო იყოს მშვიდობიანობა ქვეყნისათვის, ჩვენ მაინც, თუ კი გვსურს შევინარჩუნოთ სამხედრო ძლიერება და არ დავცეთ სახელი ჩვენის სამშობლოსი, თუ არა გვსურს დავკარგოთ ჩვენი ადგილი პირველ-ხარისხოვან სახელმწიფოთა შორის, იძულებულნი ვიქმნებით უკან არ დავიხიოთ და სამხედრო ხარჯი გავწიოთ, რასაც გვავალებს დიდებული წარსული რუსეთისა. თქმა არ უნდა, მოთხოვნილება არა ჩვეულებრივია და ხარჯიც არა ჩვეულებრივი იქნება.

„ამ მოსაზრებით უნდა იხელმძღვანელოს სახ. სათათბირომ, როცა ფინანსთა მინისტრი კანონ-პროექტს შემოიტანს ახალ გადასახადების დაწესების და ძველის შეცვლის და გადასხვაფერების შესახებ. ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს, რაც შეიძლება თანაბრად გაანაწილოს გადასახადი და ყოველი ღონე იღონოს, რომ ხელ-მოკლე მასსა ზედ-მეტ გადასახადისაგან განათავისუფლოს. ჩვენის გადასახადების სისტემის უსწორ-მასწორობას რამდენადმე მაინც ძოაწესრიგებს შემოსავლის კვალობაზე გადასახადთა გაწერა, რომლის კანონ-პროექტს ფინანსთა მინისტრი შემოიტანს. ისეთ საქონელზე ბაჟის დადება, რომლის ხმარება შემძლებელ პირებს შეუძლიანთ, გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ თავიდან აცილებულ იქნას ძლიერ შევიწროება ხელ მოკლე საზოგადოებისა. ფინანსთა სამინისტროს დანარჩენი რეფორმები შეეხება რეალურ ხარჯის სისტემის გადასინჯვას, ზოგიერთ დარგის გადასახადთა და განსაკუთრებიდ მემკვიდრეობით გადასახადთა შეცვლას.

„ჩამოთვლილი რეფორმები არ წარმოადგენენ (?) (დეპეშა არეულია) საზოგადო თვით-მართველობის მთლიან სისტემას, მაგრამ ერობანი და ქალაქების თვით-მოქმედების გაფართოებისა და გვარად მთავრობა მოვალეა მისცეს მათ საშუალება შეასრულონ თავიანთი დანიშნულება.

„გამოვსთქვი რა სახ. სათათბიროს და საბჭოს წინაშე განზრახული საკანონმდებლო პროგრამა, მე იმედი მაქვს, რომ მხოლოდ [illegible] მეცადინეობა [illegible] და უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულების მიერ მტკიცედ ცხოვრებაში [illegible] ილი სახელმწიფო წესწყობილების ახალი საფუძველნი (გაშავებულია დეპეშაში) შესძლებენ დაამშვიდონ და განაახლონ ჩვენი დიდი სამშობლო. მთავრობა მზადაა ამ მხრივ შრომა გასწიოს. მისი შრომა, კეთილი სურვილი და გამოცდილება სახ. სათათბიროს განკარგულებაში იქნება, რომელიც ყოველთვის იპოვნის თანაშემწედ მთავრობას. მთავრობა ჰგრძნობს თავისს მოვალეობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ დაიცავს ისტორიულ ანდერძს რუსეთისას და აღადგენს მასში წეს-რიგს და მშვიდობიანობას, ე. ი. სათათბაროს საქმე ექნება მისი უდიდებულესობის მთავრობასთან.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

✦ **სალდათის მოკვლა.** 7 მარტს საღამოს რვა საათზე ნიკოლოოზის ქუჩაზე მოჰკლეს პატრულის სალდათი. მკვლელობა ასე მომხდარა. პატრულს დაუნახავს ორი ყმაწვილი, დაუძახნია—შედექით. ერთი შემდგარა, მეორე გაქცეულა. გაქცეულს გამოსდევნებია სალდათი, მაგრამ მას რევოლვერი უსროლია და იქვე მოუკლავს.

✦ **განთავისუფლება.** გუშინ მეტეხის ციხიდან, რვა-ცხრა თვის პატიმრობის შემდეგ, გაანთავისუფლეს დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცების თაობაზე დაპატიმრებული ვლ. ცაცარელი.

✦ **ოსური გაზეთი.** მივიღეთ პირველი ნომერი ოსურ გაზეთის „ნოგ ცარდ"-ისა, რომელიც ტფილისში გამოდის. გაზეთის შინაარს ამ დღეებში გავაცნობთ მკითხველებს.

✦ **ქარხნის განახლება.** აქამდე დაკეტილ საფაროვის თამბაქოს ქარხანაში მუშაობა განახლდა. მიიღეს ისევ 200 მუშამდე.

✦ **ფოთის ქალაქის მოადგილის არჩევანი.** 6 მარტს ფოთში მოხდა ქალაქის მოადგილის არჩევნები. როგორც ვიცით, წინანდელი არჩევნები გუბერნატორმა არ დაამტკიცა. არჩეულ იქნა იონა მეფუნარგია.

✦ **უწყლობა.** მოახლოვდა ზაფხული და ქალაქს უკვე დაეწყო უწყლობა. 7—8 მარტს საღამოთი ქალაქის ბევრ უბანში დიდი ნაკლულობა იყო წყლისა.

✦ **საავტომობილო მიმოსვლა.** კაპიტანმა თავ. ერისთავმა შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს ცხინვალსა და გორს შუა მოაწყოს საავტომობილო მიმოსვლა.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** იგზავნებიან: ორის წლით ვოლოგდის გუბერნიაში კახელნი სიმონ არაბელი, ივანე ხიმშიერაშვილი და გიორგი ბეკაური, რომელთაც ძარცვა-გლეჯას აბრალებენ; ვიატკის გუბერნიაში ორის წლით—ახალ ბაიაზეთელი ა. სამსონოვი, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა. და ვიატკის გუბერნიაში გაგზავნილს იოსებ გერმისაშვილს ნება მიეცა დაბრუნდეს იმ პირობით, რომ ტფ. საგ.-გუბერნატოროში ცხოვრება არ შეეძლოს. საგ.-გუბერნატოროდან ეტაფით იგზავნებიან: ვარდენ სალუქვაძე და ბ. ასლანოვი, რომელთაც ხანჯალი და ბებუთები უნახეს, მეტრახტირე მანუკოვი პატენტის არ აღებისთვის. დუქნები დაუკეტეს და 25 მან. დააჯარიმეს მედუქნეები პატარა-ლილოსი—სპირ. ხმალაძე, დიდ-ლილოსი—იაგორ ფუხაშვილი, ალ. ცხოვრებაშვილი, სპირიდონ ვანიშვილი; ნორიოსი—ივანე დალიბაშვილი, მიხ. ჩრიკიშვილი, ანტონ დალაქიშვილი, ყარ- ნასიბოვი და არ. ალიქანოვი.

✦ **ტრამვაის უწესო მიმოსვლა.** 7 მარტს ქალაქის საბჭოს კომისიამ, რომელიც ტრამვაის ადევნებს თვალ-ყურს, მთელი დღე მოანდომა ვაგონების მიმოსვლის მოწესრიგების საქმეს. ერთმა წევრმა განაცხადა, რომ უსახელო საზოგადოების სათავეში რამდენიმე მდიდარი აქციონერი სდგას. ამათ უნდათ ხელოვნურად დასწიონ ტრამვაის შემოსავალი და აქციებს ფასი დაუკარგონ, რომ შემდეგ თითონ შეიძინონ იაფად; ამით აიხსნება, სხვათა შორის, რომ საზოგადოება 30 გაფუჭებულ ვაგონებს არ აკეთებს. საღამოზე, როდესაც საზოგადოების წარმომადგენელი მიიწვიეს, მან განაცხადა, რომ ვაგონების შეკეთებაში [illegible]

თვით მუშები არიან დაინტერესებულნი და ვაგონების შეკეთებას თითონ ადევნებენ თვალყურსაო. საქმე გვიანდება კაპიტალურ რემონტის გამო. რაც შეეხება აქციის დაცემას, ეს აიხსნება იმითი, რომ ფული გვჭირდება, ჩვენის გაჭირვებით ბირჟაზე სარგებლობენ და აქციას ფას უკარგავენო. კომისიამ წინადადება მისცა დირექციას, ყოველივე ღონისძიება იხმაროს ვაგონების მიმოსვლის გასაუმჯობესებლად.

✦ ᲒᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲓᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ ᲘᲓᲘᲝᲗ ᲙᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲢᲘᲡ-ᲛᲔᲢ ᲡᲘᲛᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲘᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘᲜᲐ. ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲤᲣᲫᲘᲡ ᲨᲔᲣᲢᲐᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲓᲛᲝᲣᲩᲘᲜᲝᲗ ᲡᲬᲐᲕᲚᲡ ᲛᲝᲬᲣᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲡ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔ, № 24 (IX ᲣᲑᲐᲜᲘ), ᲡᲐᲮᲚᲘ ᲑᲘᲠᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

✦ ᲢᲤ. ᲮᲔᲓᲖᲔ ᲛᲝᲗ: ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲡᲢᲠᲝᲤ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲗᲘᲗᲝᲜᲐ ᲥᲐᲓᲐᲥᲘᲡ ᲙᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡ, ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲩᲔᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲖᲣᲑᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲐᲛᲒᲪᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ.

✦ 9 ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲙᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐ, ᲙᲕᲘᲠᲨᲘ ᲝᲠᲯᲔᲚ: ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲓ. 6—7 Ს. ᲥᲐᲓ. ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲖᲔ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲨᲐᲮᲐᲠᲝᲜᲘᲐᲜᲪᲘ, 7—8 Ს. ᲑᲐᲕᲨ.—ᲨᲘᲜᲐᲜᲪᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲐᲡᲙᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲓ. 6½—8 Ს. ᲑᲣᲑᲘᲝᲑᲐᲖᲔ—ᲔᲥᲘᲛᲘ ᲛᲝᲜᲘᲜᲘ. ᲙᲐᲠᲯᲨᲘ ᲑᲘᲠᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲜᲗ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ ᲔᲡ ᲓᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲬᲔᲠᲜᲔᲜ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲝᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲬᲔᲕᲠᲘᲡᲒᲐᲜ.

## ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

✦ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲓ ᲜᲐᲛᲧᲝᲤᲘ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲙᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲮᲐᲖᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲪᲐᲠᲪᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲑᲡ ᲐᲑᲠᲐᲫᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲢᲣᲡᲐᲓᲒᲐᲜ ᲙᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲡ.

✦ 15.000 ᲛᲐᲜᲗᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲔᲑᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲮᲚᲘ ᲙᲐᲩᲮᲠᲘᲐᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲢᲔᲡᲓᲔᲡ 60-ᲓᲔ ᲙᲐᲪᲘ. ᲐᲛ ᲑᲘᲠᲗᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲝᲗ, ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲗ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲭᲔᲖᲐᲜᲗ.

✦ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲓᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲓᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲓᲓᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲯᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲐᲠᲐᲕᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲝᲓᲐ ᲜᲔᲑᲐ, ᲔᲡᲔᲡᲮᲐ 40.000 ᲛᲐᲜᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲜ ᲙᲠᲔᲓᲘ ᲑᲘᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲓᲝᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲣᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲘᲐ.

✦ 5 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲓᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ. ᲥᲐᲓᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ ᲙᲐᲛᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲓᲐᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐ ᲐᲜ ᲙᲠᲔᲓᲘᲡ ᲑᲘᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲓᲝᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲣᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲘᲐ.

✦ 15 ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐ, ᲙᲕᲘᲠᲨᲘ ᲝᲠᲯᲔᲚ: ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲓ. 6—7 Ს. ᲥᲐᲓ. ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲖᲔ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲨᲐᲮᲐᲠᲝᲜᲘᲐᲜᲪᲘ, 7—8 Ს. ᲑᲐᲕᲨ.—ᲨᲘᲜᲐᲜᲪᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲐᲡᲙᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲓ. 6½—8 Ს. ᲑᲣᲑᲘᲝᲑᲐᲖᲔ—ᲔᲥᲘᲛᲘ ᲛᲝᲜᲘᲜᲘ. ᲙᲐᲠᲯᲨᲘ ᲑᲘᲠᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲜᲗ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ ᲔᲡ ᲓᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲬᲔᲠᲜᲔᲜ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲝᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲬᲔᲕᲠᲘᲡᲒᲐᲜ.

✦ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲓᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲘᲡ ᲗᲕᲔᲡ ᲐᲠᲬᲘᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲢᲘᲡ-ᲛᲔᲢ ᲡᲘᲛᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲘᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘᲜᲐ. ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲤᲣᲫᲘᲡ ᲨᲔᲣᲢᲐᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲓᲛᲝᲣᲩᲘᲜᲝᲗ ᲡᲬᲐᲕᲚᲡ ᲛᲝᲬᲣᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲡ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔ, № 24 (IX ᲣᲑᲐᲜᲘ), ᲡᲐᲮᲚᲘ ᲑᲘᲠᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

✦ ᲢᲤ. ᲮᲔᲓᲖᲔ ᲛᲝᲗ: ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲡᲢᲠᲝᲤ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲗᲘᲗᲝᲜᲐ ᲥᲐᲓᲐᲥᲘᲡ ᲙᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡ, ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲩᲔᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲖᲣᲑᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲐᲛᲒᲪᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ.

✦ 9